ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3822158

ნომერი: AR1575478

თარიღი : 06.02.2018

გაცემის თარიღი : 13.02.2018

გაცნობის თარიღი : 13.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი ; ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი ; ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
-მოთხოვნის ტექსტში დეტალურად განმარტეთ ინფრმაცია საპროექტო ობიექტების ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე მითითებული გაქვთ ჯიხური, ხოლო საპროექტო გეგმებზე დატანილია გამშვები პუნქტი. ასევე საჭიროა დააფიქსიროთ ღობის შესახებ ინფორმაცია, რომ იგი გათვალისწინებულია საპროექტო ობიექტის ფუნქციონირებისათვის.

-წარმოადგინეთ დღევანდელი მდგომარეობით, სხვადასხვა ხედით გადაღებული, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, თარიღის მითითებით.
-წარმოდგენილი ტოპოგრაფიული გეგმა საჭიროა დამოწმებულ ინქას უფლებამოსილი პირის მიერ.
-გაითვალისწინეთ რომ I კლასს განეკუთვნება: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის. ამ ეტაპზე წარმოდგენილი საპროექტო შენობა-ნაგებობის მალი შეუსაბამოა I კლასის მახასიათებლებთან.

საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები:
1. სს თელასის საკუთრებაში არსებული 6/0.4 კვ. ძაბვის N 14 სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან 6/0.4 კვ. ძაბვის N2 (1)სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე 6 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი N 01.00.376.
2. შპს „ყასტრანგაზ თბილისი“-ს საკუთრებაში არსებული გაზმომარაგების მილი N 01.01.034.
3. შპს „ საქაერონავიგაცია“-ს საკუთრებაში არსებული 6/0.4 კვ. ძაბვის N 14ა სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან 6/0.4 კვ. ძაბვის N2ბ (2)სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე 6 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი N 01.00.370.
4. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ს საკუთრებაში არსებული სყალსადენი N 01.00.806 და წყალარინების მილი N 01.02.224.
5.შპს „ საქაერონავიგაცია“-ს საკუთრებაში არსებული 6/0.4 კვ. ძაბვის N 14ა სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან 6/0.4 კვ. ძაბვის N2ბ (1) სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე 6 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი N 01.00.354.
საჭიროა წარმოადგინოთ მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

სამსახურს უნდა მომართოს მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისი მინდობილობა ან მესაკუთრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. 2. ვინაიდან მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრიდან ამონაწერში ფიქსირდება შეზღუდული სარგებლობა, საკითხზე მსჯელობისათვის წარმოსადგენია აღნიშნულის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი პირის თანხმობა ან საჭიროა აღნიშნული შეზღუდული სარგებლობის მოხსნა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge